პოეზიის დღე

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია

ფასი 20 კაპ. | 5 მაისი 1928 წ. | ბეჭდვითი სიტყვის დღე. | № 1

შინაარსი

მეოური
ს. ამაღლობელი — მილიონებთან ერთად.
ბ. ელენტი — პოეზიის დღე.
ა. რობაქიძე — საერთაშორისო თანამედროვე ლიტერატურიდან.
გალაქტიონ ტაბიძე — ცეცხლი ქუთაისში.
ვალ. გაფრინდაშვილი — ფეხსაცმელის მწმენდელთან.
სანდრო შანშიაშვილი — წერილი ტიციან ტაბიძეს.
ნ. ზომლეთელი — დღე პოეზიის.
ი. გრიშაშვილი — შენ გიყვარ.
ტიციან ტაბიძე — სენტიმენტალური მოგზაურობა.
ბ. ჭეჩიშვილი — პოეზიის დღე.
ბ. ლეონიძე — უტრეტენი.
ვ. ქუთათელაძე — ჩვენი ცხოვრება.
კოლაუ ნადირაძე — ოფხაზური სიმღერა.
რაფიელ გვეტაძე — ახალი ეკლესია.
გრ. ცეცხლაძე — ჩვეულებრივი დღე.
ნ. თარიშვილი — გულის პასუხი.
დემნა შენგელაია — ადგილი მოთხრობიდან.
მიხ. ჯავახიშვილი — მიწის ყივილი.
ი. მოსაშვილი — გომბორის ღამეები.
იასამანი — დიოსკურია.
ბაბილინა — „სამშენ"-თან.
დ. გაჩეჩილაძე — შენ ალარ მოხვალ.
ი. ლისაშვილი — ტფილისიდან — კავკავამდე.
ტ. გრანელი — მატარებლიდან.
რაულ გოგოხია — ჩვენ სათუთ გრძნობებს არ მოვერიდეთ.
ვ. გაბესკირია — უშგულის მთებში.
ს. ერთაწმინდელი — წითელჩოხა საქართველო.

ხელოვანთა სასახლე

კვირას 13 მაისს

„პოეზიის დღის" ალსანიშნავად გაიმართება

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს

საჯარო სხდომა

სიტყვა — ბრ. რობაქიძისა

საკუთარ ნაწარმოებს წაიკითხავენ ჰოეტები და მწერლები.

შესვლა გარათებით | დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გარათების მიღება — ხელოვანთა სასახლეში.

გამოვიდა

„ქართული მწერლობა"

№ 4.

შინაარსი:

ჩვენი მწერლობა და კულტურული რევოლიუციის საკითხები — მოსელისა.
ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფია — ლ. ა—ნისა.
ეანდარმების ცნობები ნიკო ნიკოლაძის შესახებ.
ნ. ნიკოლაძის სოციალ-პოლიტიკური იდეალები — ს. ხუნდაძისა.
ნიკო ნიკოლაძე — ვ. კოტეტიშვილისა.

ლექსები

ვ. გაფრინდაშვილი — გაზაფხული თებერვალში.
რ. გვეტაძე — ფარული სტამბა არკიელის გორაზე.
ი. გრიშაშვილი — ნადირობა ნიამორებზე (დისონანსები).
ნ. ზომლეთელი — ეკონ ალეფს.
კოლაუ ნადირაძე — ოფხაზეთი.
ვ. რუხაძე — გაზაფხული
ტიციან ტაბიძე — ამოდის ნათდება.
გრ. ცეცხლაძე — ოთხი მაუზერი.

პროზა

გრ. რობაქიძე — ფალესტრა.

უცხოეთის ლიტერატურა

ანელ გარნია ასორინი — ბლასკო იბანიესი.
ბლასკო იბანიესი — ორმაგი ძალით (მოთხრობა).

წერილები

ს. ხ. — ზომლელი.
კ. გამსახურდია — ჭენარიხ იბსენი.
ბ. ელენტი — არიფიონი.
დ. კასრაძე — ლიტერატურული პორტრეტები.
სრულიად ხაკ. საბჭ. მწერლების ფედერაციის ყრილობის ანგარიში.

ბიბლიოგრაფია

პროფ. კ. კეკელიძე — „ი. გრიშაშვილის ძველი ტფილისის ლიტერატურული პოემა".
ვ. გორგაძე — ვ. ლენინის წერილები მაქსიმ გორკისადმი.

ლიტერატურული ქრონიკა

პოეზიის დღე

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი და ეხლა მისი მემკვიდრე საბჭოთა მწერლების ფედერაცია 5 მაისს აწყობს პოეზიის დღეს. ეს ტრადიცია დღემდე შერჩა კავშირს და ალბად ამას წინ უსწრობდა დროს მოთხოვნილება და ამიტომაც მოატანა აქამდე.

ამ დღეს ქართული მწერლობა თავის მოქმედების ანგარიშს აბარებს ქართველ სახოგადოებას, ჯამს უკეთებს წლიდან წლამდე თავის ნამუშევარს და მომაყოლისათვის ისახავს ახალ გეგმას.

ჩვენ არ გვინდა ვილაპარაკოთ ცალკე მწერლობისა და მწერალთა დაჯგუფების კონკრეტულ ლიტერატურულ მიღწევებზე, თუმცა ეს პირდაპირი დანიშნულებაა დღევანდელ დღისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი მოკალაქე ამას გაიკეთებს თავის თავად; ჩვენ გვინდა დღეს მიუთითოთ იმ საზოგადოებრივ მიღწევებზე, რომელიც ფედერაციას აქვს მოლიანად.

ამის შესახებ უმთავრესად იყო ლაპარაკი მატარში მოწყობილ სრულიად საქართველოს მწერლობის ყრილობაზე.

პირველ ყოველისა აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციულად ქართველი მწერლობა გაერთიანებულია ფედერატიულ ნიადაგზე.

ფედერაციაში ადგილი არ აქვს გამოთიშულ პოლიტიკას და ყველა საკითხები წყდება ერთიერთშორის შეთანხმებით.

არც ერთი ლიტერატურული დაჯგუფება [illegible] [illegible] [illegible]

შენ ზაირყვნები

შენ გაირყვნები, ამყარა არი,
ვგრძნობ შენს დაცემას წინასწარულად;
შენი სხეული ნაჭანდაკარი
ხელიდან ხელში წყაა ფარულად.
შენ გაირყვნები, როგორც ბიანკა,
მე ასე ვფიქრობ! მე ასე მჯერა!
შენ გაირყვნები... ო, ისე ტლანქად,
როგორც არავინ გარყვნილა ჯერა,
შეკვეთილ ენებით სხვის ენების დაღლი,
დაგეწურება მკერდი მტევნებად,—
და სადაც წახვალ, ვით ქუჩის ძაღლი,
სიძვა, ბრუშება აგედევნება.
მოგენატრება ეს სიყმაწვილე,
როცა სულს შლიდი ლამაზ სხეულად,—
და იტყვი: „რისთვის დავანაწილე
მე სიყვარული ხარისხეულად?
რა მოვლილდა და რა დამარქვეს!
ნუ თუ ეს იყო ჩემი მიზნები?
სულის სალაროს რადა ვხდი სარქველს,
რისთვის ვინთები? რისთვის ვიგზნები?"
მაგრამ თუ შემხვდი, ო, სულის მეფავ,
სადმე აკრული ქუჩის ბნელ კუთხეს,—
მოვალ და ჩემის კოცნით ავკრეფავ
მაგ შიშველ ტანზე დაყრილ ნაფურთხებს.
არც ჩამოკრული! არც საყვედური!
გულში ჩაგიკრავ, გულს დაგპირდები;
მე ბედნიერი და უბედური
წარბებს ჩამოვშლი და აეტირდები.
გეტყვი, რომ რა ვქნა, მიყვარხარ ისევ,
მომიახლოვდი, მომეცი ხელი,—
თუ პირველობა მე არ მაღირსე,
ვიქნები მაინც უკანასკნელი.

ი. გრიშაშვილი.

პოეზიის დღე

განდიდებისთვის არასოდეს არ მიფიქრია,
ამის მსურველი უწმეოდაც დღეს მრავალია,
მაგრამ რადგანაც გულში ცეცხლი ვერ დამიქრია,
ბრძოლის დანთებაც უწმინდესი ჩემი ვალია.
დაე სხვებს ეპყრათ მაღლობები და მწვერვალები,
დაფნის გვირგვინშიც არავის არ შევეკილები;
სისხლის წყურვილით მენთებიან წითლად თვალები
და მტერთა ზედა მიკაწკაწებს ბასრი კბილები.
ვიცი: გულ-ნაზი პოეტები რამთელიან მხეცად,
რომ პოეზიის ყვავილთ ნაცვლად ვფანტავ ლენცოფებს,
მაგრამ თუ მტრებს და მუხანათებს გესლათ გარდექცათ,
თუ ეს ჩემი ხმა სასიკვდილოთ დაეკადმყოფებს,—
გაძარჯვებული აღტაცებით მივსწვდები ზეცას
და ძირს დავარხევ პოეზიის ეარსკლავებს მეცა.

გ. კუჩიშვილი.

სენტიმენტალური მოგზაურობა

ერთ დილობაზე გადახვალ ლეჩ.

მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათომში მაინც სხვა არი.
მეც ვხედავი ეს, რომ სილამაზეს
აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი.
ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოს იყო თუ არა.
ერთად გაიღო ცამ შვიდი კარი
და ზღვას სარტყლებით გადაეარა.
თეთრ ზამბახების ფანან ფარდები
გაეფენ შრიალი პალმების ჭოლვებს,
და ისე ჭყრიან თეთრი ვარდები,
თითქო ათასი აქ გედი მოჭკლეს.
გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხეენია, რომ ვარ უშენოთ,
ალბად ყოფილა წყეული ამგვარი;
— მიეცეთ პოეტებს საშობლო მხარე
ულამაზესი ედემის დარი,
მხოლოდ ქალები გადაუშენოთ.
ამაყოფილი ვარ მეც ჩემი ბედით
საკუთარ თავთან ესვამ ალაეერდით,
ბათომი ტიციან ტაბიძე.

ახალი ლექსი

მეუბნებიან: „გრძნობა გიმონებს,
შენი ლექსები დრომ მიმოქფანტა".—
მეც სიყვარულით დამწვარ სტრიქონებს
გულში ვატარებ დღეს კონდრამანდათ.
ლექსებს ვერ გიწერ, და შენ გგონია,
რომ გიღალატე, გაეტეხე ფიცი!
ჩემში ისევ ის ელექტრონია,
ყველავ ჩემს სხეულზე სამოსი იწვის!
ვინც პოეზია შესვა მზის ჰეშვით,
მას მუდამ უყვარს ლექსთა შეჯიბრი,
მეც პოეზიის მორევს გადგეშვი,
მაგრამ შრომაში ლექსს არვინ მიბრის...
გადმოიღვრება სიტყვა ტალღებად,
ყველა არა ვართ აქ თანასწორი:
ყოველ ლექსს მოაქვს თავის გაგება
და სურნელება გულწრფელ ავტორის.
თითქოს კალამი არ მეურჩება,
მრავალ სიახლის მეცა ვარ დამსწრე—
და ვფიქრობ: განცდა შემეძურება,
და მეც ოდესმე ახალ ლექსს დავწერ.

მარიჯან.

მცირე პასუხი

ჩემი ძახილი არა ბლოკურს ლეჭებს.
არც ძალის საჩრდილ
მონაზონებს.
მას ბეღლები აქვს აკილოსიეთ
დროის სართულით
გამოზომილი.
ასხმული ჩემგან ჰაიზენები,
ფაქტია ცხოვრებით გამოვიარე
და წყება
წლებია გარიერეების
ახალ—გაგვეთი გაგიზიარეთ.
(თუ შეიძლება „მე"-ს გიკარნახობ)
ამას ვასრულებ მისი ბრძანებით
ქვეშოთ დაურთე ოქროს ნახეთ
როგორც პასუხი ამოცანების.
ჩემმა ლექსებმა
როგორც ჩეჭვებმა
ქუჩის ლურსმნებით,
გზები გათელეს
და თუ შემოხვედა კიდევ გვეკნება
გზებს გავამგრეთ მართველებივით.
რა უნდა გითხრათ?
ვინ მეკითხება.
სათქმელი მაქვს და
ცოტა გაივებს.
სიტყვა ნაგები კუთხეებიდან
და მოლეული ტაიგებივით.
მე ავგები წელთა ძალებიდან
შემდეგ შეფეთი დამდგარ დღეების
დამსწრე ეიყვეთ
მრავალ ბრძოლების
ალდეთა
ცბილებზე გადაჭენების.
ისთვის მოვშორდი
განცდებს პირადულს
ღიერ კითხვებთან დაკავშირებით
და ისტორიის
ჩონჩხთა პარადი
წარსულს გადავეც
დანახშირებულს.
მე სტრიქონების თოკით დაბმული
და რესპუბლიკის ლექსის ოსტატი
წიგნიდან
წლებზე გადასტამბული
ვარ დროს გამხსნელი
დოსტაქარიეთ.

სიმონ ჩიქოვანი.

საფრანგეთის თანადროულ ლიტერატურიდან

(შენიშვნების სახით).

მარსელ პრუსტ (გარდ. 1923 წ.)

უკვე დიდ მწერლად ითვლება ყველგან. მისი მრავალტომიანი ქმნილება—„დაკარგულ დროის ძიებაში"—ერთგვარი ქრონიკაა, დიდს ეპოპეად გადაშლილი. აქ არის სხეულყოფილი თანადროული ბერეუაზიული ყოფა, საკა არისტოკრატული სახებიც იკრებიან.

რომანში გააფართოვა პრუსტმა შემეცნების საზღვრები. თავისებურად იგზნო „დრო" და „ხსოვა" (ერთიც და მეორეც დიდი პრობლემაა, პოეტის თუ მწერლის სახასიათოს). შექმნა ახალი ფორმა თხრობის. გაართულა სინტაქსი. ამმრავალფერა თქმა.

ასეთი „ცდები" ყოველთვის „მარჯვენ" არ თავდებიან პროსტის შემოქმედებაში. შემეცნების საზღვრების გაფართოება მის რომანში (საკუთრებით მწერლებზე. არა მარტო საფრანგეთში). მისი შემოქმედების შესახებ მრავალი ტომი იწერება—(არა მარტო ფრანგულად) ევროპაში კითხვაც დასვეს: რომელი უფრო დიდი მწერალია—ანატოლ ფრანს თუ მარსელ პრუსტ? ბევრმა პირველობა მეორეს მიაკუთვნა. შემოვიდა ტერმინიც: „პრუსტიზმი". აგრეთვე „სვანიზმი"—(ერთი მისი გმირი, მთავარი, არის „სვან").

რით აიხსნება ასეთი გავლენა?

ზოგი ასეთს პასუხს იძლევა. ევროპაში წლიურად ათი ათასი რომანი გამოდის. რომანი იწერება „ადვილად"; განსაკუთრებით ავანტიურული და კოლონიალური. ცხრა მეათედი ამ რომანების წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით არავითარ ფასეულებას არ წარმოადგენს: „სიადვილე" ჰქმნის აქ „სიცალიერეს". მარსელ პრუსტს კი ერთი ფრაზაც არ აქვს „ცალიერი": იგი სავსეა მუდამ აზრით თუ სახით. შესაძლოა, ეს ახსნა მართალიც იყოს.

კოლ კლოდელ

დიდი მწერალი თანადროულ საფრანგეთში. მასში გრძელდება ორგანიულად სიმბოლისტების ქმედითი ტრადიცია (განსაკუთრებით არტურ რიმბოსი). მისი დრამები ეპოქაა ევროპის დრამატიულ ხელოვნებაში. ეგრედწოდებული „Bürgerliches Drama", რომელმაც დაიფულო ევროპის სცენა, კლოდელმა გაანადგურა. მის დრამებში აღდგა, თემცა სხვა ფორმით, შინაგანი თვითება ანტიურ ტრაგედიის. ერთგვარი აბსტრაქცია ეტყობა კლოდელის დრამებს—სიმბოლო აქ ხორცი კი არ არის, არამედ ჩონჩხი (მაგ. „ოქროს თავი" და სხვა). ამ მხრით ყველაზე უფრო ნამდვილი ხელოვნური ნაყოფია „ხარება", სადაც ყოველი ხაზი ხორცსხმული რეალობაა, თემცა ორა ყოველდღიური. კლოდელის სიტყვა არ არის არც „პროზა" და არც „ლექსი". იგი უფრო სხვაა. საკაარია მისი კრებული მინიატიურების „აღმოსავლეთის შეცნობა". აქ სიტყვის ეკონომია დაყვანილია ლურსმულ წარწერების სიკოტავემდე და ამავე დროს სიტყვის ეკსპრესია უსაზღვროა. საგანის სახელი აქ საგანია თვითონ. შთაბეჭდილება—მოწყვეტილი ნაყოფის: „წითელი, ეს ფერცლები ნამდვილი ნაყოფია". ეს ფერცლები ნამდვილი ნაყოფია. ეს ფერცლები ნამდვილი ნაყოფია. ეს ფერცლები ნამდვილი ნაყოფია.

სამხედრო და ეკონომიურ ფრონტებზე წარმატებითი გამარჯვების მიღება ჭქონის დიდ სოციალურსა და მორალურს ძალას მილიონების ხელში. ეს კი საშუალებას აძლევს პროლეტარიატს თავის გაელენის ქვეშ დააყენოს ბურჟუაზიული კულტურის მუშაკები.

მწერლობა უფრო მეტად განიცდის ამ გაელენას, ვიდრე კულტურის მუშაკთა სხვა კადრი მწერალი ვერ გაექცევა საზოგადოებრივ არეს, საზოგადოებაში მოკვეთულ ადამიანის სულიერი პროცესების კონტექტს. ამდენათვე, ის გიგანტური ბიდილი, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებაში ახალი საზოგადოებრიობის ჩამოყალიბების სახით, უშუალოდ ეხეთქება მწერლობის თემასა და ფორმის პრობლემებს, იწვევს ახალი სულიერი პროცესების ათვისებას ახალი ფერებით, ხაზებითა და კოლორით. ამ მხრით მწერლობა, რამდენათაც რევოლუციის გაელენის ქვეშ მოექცევა, იმდენათ თვით გახდება მილიონებში რევოლიუციურ სულისკვეთების გამტარებელ ძალად.

დღეს მწერალს რევოლიუციიდან გაქცევა ობიექტიურად არ შეეძლია. რევოლიუციიდან მწერლის გაქცევა. მის მხატვრულ წაქცევას უდრის. მილიონების შემოქმედებისა და აქტივობის წინააღმდეგ ამხედრებული მწერალი ისე ადვილად გაისრესება ისტორიის მკაცრი მსელელობით, როგორც მისი კალმისტარი ორთქლმაელის სიძლიერით, თუ ის ამ მსუბუქი ინვენტარით მოინდომებს საბჭოთა მატარებლის ლინდგიდან აცდენას.

ქართული წწერლობის წინაშე სდგას დიდი მხატვრული ამოცანა — ახალი საზოგადოებრიობის, მილიონთა შემოქმედებითი მუშაობის გზით სელა. დღეს, ოქტომბრის მეთერთმეტე წელს, პოლიტიკური პლატფორმებისა და დეკლარაციების დრო ალარ არის. ეხლა გაკეთდეს ოფიციალური განაღდების საკითხია დასმული. „თამამსქმია განაღდების“ საჭიროების ალინიშვნით ჩვენ ერთი წუთითაც არ ეფიქროთ მხატვრულ შემოქმედებაში სამანკო ბუხგალტერიის პრინციპთა წამოყენებას, ჩვენ არც თემატიურ დაკალებას ვაძლევთ ხელოვნს და მას არც შემოქმედების ვადებს ვუნიშნავთ. მწერლობას თვ მასა და ვადას უყენებს თვით ეპოქა, ისტორიის ახალი ნება და ვინც ამ დიდი „გმირის“ დავალებას ვერ გიგებს, უნდა ეფიქროთ, მის მხატვრულ ბალანსში აუნაზღაურებელი დეფიციტი იჩენს თავს.

დღეს მილიონები აშენებენ თავის სახელმწიფოს, მეურნეობას, კულტურას.—მილიონები შრომობენ და იბრძვიან ახალ საზოგადოების ჩამოყალიბებისა და დაცვისთვის. მილიონები გამოდიან ისტორიის ნების საფეძლად. მწერალმა, თუ მას სურს სიცოცხლე უნდა სიცოცხლობდეს ამ მილიონებთან ერთად. მწერალმა, თუ მას სურს სამსახური მასების— უნდა ისმენდეს ამ მასების გრძნობებსა და ზრახვებს და უნდა იძლეოდეს ამ მილიონებისთვის მისაღებ და გასაგებ ნაწარმოებს. მწერლობა, თუ მას სურს შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე ასვლა —ისტორიული მსელელობის ყოველ საფეხურზე უნდა მიქცევდეს მებრძოლ მილიონებს, საზოგადოებისა და პროლეტარიატის—საბჭოთა სახელმწიფოებრივობის ნაადგზე, ამიტომ იყო, რომ ჩვენი ეკახასენელი ყრილობა უმთავრესათ კულტურისა და ლიტერატურის სპეციფიურ-პროფესიულ საკითხებზე მსჯელობდა.

ქართული მწერლობის ყველა ლიტერატურული დაჯგუფება თუ ერთეული, ცხადია უშუალოდ გრძნობს და იწვევდაც განიცდის ჩვენი დროის გარდატეხებს, რომელთაც პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან—ესთეტიური კულტურის საფუძვლეამდე საბჭოისწროთ შეარყიეს. ყოველი მწერალი ცდილობს თავისი შემოქმედების ხასიათი დღევანდელობის ამოცანას შეუფარდოს. ამით აიხსნება ის საკრძობი განახლება, რომელიც მთელი ახალი ქართული მწერლობის თემატიკაშია შემჩნეული.

მაგრამ ცხადია ლიტერატურის ოქტომბერი ამით არ შეიძლ[illegible]ნისაზღვროს. ამ ფაქტით მხოლოდ მწერ[illegible]ს საბჭოთა მოქალაქეობა, მათი სოციალ-[illegible]ტიკური განწყობილება მეფიანდება. ახალ[illegible]ოის მიერ შემოტანილ მასალამრიგ ინ[illegible]ას განახლებული ხედვა და მხატვრული [illegible]ებლობის ახალი კანონები ესაჭიროება. [illegible]ის ლიტერატურულ რევოლიუციის ძირ[illegible]ი პირობა— კულტურულ რევოლიუციის [illegible]ითა მეინარებაში.

რევოლიუციის მოლებიდან—ქ[illegible]ული მწერლობა ლიტერატურათ უნდა წავიდ[illegible]ვით მწერლობაში რევოლიუციის მოხდენ[illegible]ს. მაგრამ ამ საქმე გვაქვს მთელ რიგ რთულ [illegible]ოცესებთან: ეს მეტად ძნელია მწერლობი[illegible]ტრადიციული თვობისათვის. ამით აიხსნება [illegible]ენ ლიტერატურაში მემარჯვენე და მემარცხ[illegible] პოზიციების არსებობა.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი ქა[illegible]ული მწერლობა აქტიურად ამოძრავებულ[illegible]ბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ ფრ[illegible]ის განმტკიცებისათვის, თავისთავად გულისხ[illegible]ს, რომ ქართული მწერლობა, მემარცხენე ელემენტის თანდათანობითი ზრდით, შესძლებს თ[illegible] ეისი მშენებლობის, როგორც მასალამრივი, ისე ხერხობრივი ბუნება. მთლიანად შეეფარდოს მიმდინარე მშენებლობის პროცესებს.

სცდება, მკაცრად სცდება, ვინც ჩვენს პირობებში ქართული მწერლობის დაცემაზე და კრიზისებზე ლაპარაკობს. კრიზისი და დეკადანსი უცხოა ჩვენი დროის ბუნებისათვის. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ სიძნელეებთან, წარსულის ტრადიციების ძლიერ გავლენებთან. და ამ მხრივ უნდა წარიმართოს მთელი ენერგია. ამ ხახით ვიბრძვით ჩვენ.

მაგრამ ლიტერატურის განვითარების ერთი უმთავრესი პირობათაგანი საზოგადოებრივი აზრის სიახლე და თანაგრძნობაა. მწერლობა მასსების ყურადღებასა და ავტორიტეტზე უნდა დაემყაროს.

„პოეზიის დღის“ მნიშვნელობაც სწორეთ მწერლობის მასსაში გატანა, ლიტერატურის მასსიური პროპაგანდა უნდა იყოს.

ბესარიონ ჯენტი.

ტფილისი, 5 მაისი.

პოეზიის დღე

ლიტერატურის ისტორია — ლიტერატურულ ტრადიციების რღვევის ისტორიაა. და ამ განუწყვეტელ „სამოქალაქო ომს“ მწერლობის იმანენტურ სამყაროში ყოველთვის სოციალური გარესკნელი ასაზრდოებს.

ლიტერატურა შედეგია და ამავე დროს უმძლავრესი ფაქტორიც ცხოვრების რეკონსტრუქციისა, მისი ძველი სოციალური საფუძვლების დაშლისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის ახალ ფორმებში ოქცევისა.

ქართული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობაც ამ კანონზეა აგებული. იგი საკუთარ შეეფარდება იმ სოციალ-პოლიტიკურ გარემოცვას, რომლის ატმოსფეროშიც ვითარდება ჩვენი ეროვნული ლიტერატურული ცხოვრება.

მეტი სისწრაფით და ინტენსიობით დაშლა ძველი საზოგადოებრიობის ნაშთებისა და მათი შეცვლა ახალი ცხოვრების დაწყებითი საფეხურებით—აი მთელი ეზრი და დანიშნულება დღევანდელი დღის, რომლისკენაც წარმართულია გარდამავალი პერიოდის მთელი შემოქმედებითი ენერგია.

და ეს პროცესი გადატანილი ლიტერატურის სფეროში—ქნის იმ ბრძოლას, მრავალფეროვნებას, სხვადასხვაობას, რომლითაც ეხლანდელი ლიტერატურული ატმოსფერა ხასიათდება.

კულტურული რევოლიუციის დაწყებითი მომენტი—მასსების კულტურული ამოძრავებაა, მაგრამ მისი ნამდვილი ეზრი და შინაარსი წარსული კულტურის სახსრკვის დახსნაა, რომ „მკვიდო თაობათა შეხედულებები კოშმარივით არ აწვეს ჩვენს ტვინებს“, რომ „აღმოუხერილ იქნას წარსულის ყველა ცრუმორწმუნოებანი“, რომლებიც ახალი ყოფის ფორმაციის პროცესში გვაფერხებენ, გვბორკავენ, გვაბრკოლებენ.

ეს ეზრი თითქოს „ტრუიზმათ“ არის მიჩნეული ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა სფეროებში, მაგრამ ხელოვნებისა და კერძოთ მხატვრული ლიტერატურის სფეროში ჯერ კიდევ ამ საკითხზე გადატანილი ბრძოლის ცენტრი, ჯერ კიდევ ამ პრობლემებზე შენდება ჩვენი მწერლობის მებრძოლი პოზიციები.

დიფერენციაციის პროცესი ქართულ მწერლობაში უკვე გასცდა პოლიტიკურ სტადიას. ჯერ კიდევ ორი წლის წინად მწერალთა პირველმა გაერთიანებულმა ყრილობამ გამოიმეშავა ქართული მწერლობის მთლიანი სოციალ-პოლიტიკური ორიენტაცია—საბჭოთა სახელმწიფოებრივობის ნიადაგზე, ამიტომ იყო, რომ ჩვენი ეკახასენელი ყრილობა უმთავრესათ კულტურისა და ლიტერატურის სპეციფიურ-პროფესიულ საკითხებზე მსჯელობდა.

ქართული მწერლობის ყველა ლიტერატურული დაჯგუფება თუ ერთეული, ცხადია უშუალოდ გრძნობს და იწვევდაც განიცდის ჩვენი დროის გარდატეხებს, რომელთაც პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროებიდან—ესთეტიური კულტურის საფუძვლეამდე საბჭოისწროთ შეარყიეს. ყოველი მწერალი ცდილობს თავისი შემოქმედების ხასიათი დღევანდელობის ამოცანას შეუფარდოს. ამით აიხსნება ის საკრძობი განახლება, რომელიც მთელი ახალი ქართული მწერლობის თემატიკაშია შემჩნეული.

მაგრამ ცხადია ლიტერატურის ოქტომბერი ამით არ შეიძლ[illegible]ნისაზღვროს. ამ ფაქტით მხოლოდ მწერ[illegible]ს საბჭოთა მოქალაქეობა, მათი სოციალ-[illegible]ტიკური განწყობილება მეფიანდება. ახალ[illegible]ოის მიერ შემოტანილ მასალამრიგ ინ[illegible]ას განახლებული ხედვა და მხატვრული [illegible]ებლობის ახალი კანონები ესაჭიროება. [illegible]ის ლიტერატურულ რევოლიუციის ძირ[illegible]ი პირობა— კულტურულ რევოლიუციის [illegible]ითა მეინარებაში.

რევოლიუციის მოლებიდან—ქ[illegible]ული მწერლობა ლიტერატურათ უნდა წავიდ[illegible]ვით მწერლობაში რევოლიუციის მოხდენ[illegible]ს. მაგრამ ამ საქმე გვაქვს მთელ რიგ რთულ [illegible]ოცესებთან: ეს მეტად ძნელია მწერლობი[illegible]ტრადიციული თვობისათვის. ამით აიხსნება [illegible]ენ ლიტერატურაში მემარჯვენე და მემარცხ[illegible] პოზიციების არსებობა.

მაგრამ ის ფაქტი, რომ მთელი ქა[illegible]ული მწერლობა აქტიურად ამოძრავებულ[illegible]ბჭოთა სახელმწიფოს კულტურულ ფრ[illegible]ის განმტკიცებისათვის, თავისთავად გულისხ[illegible]ს, რომ ქართული მწერლობა, მემარცხენე ელემენტის თანდათანობითი ზრდით, შესძლებს თ[illegible] ეისი მშენებლობის, როგორც მასალამრივი, ისე ხერხობრივი ბუნება. მთლიანად შეეფარდოს მიმდინარე მშენებლობის პროცესებს.

სცდება, მკაცრად სცდება, ვინც ჩვენს პირობებში ქართული მწერლობის დაცემაზე და კრიზისებზე ლაპარაკობს. კრიზისი და დეკადანსი უცხოა ჩვენი დროის ბუნებისათვის. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ სიძნელეებთან, წარსულის ტრადიციების ძლიერ გავლენებთან. და ამ მხრივ უნდა წარიმართოს მთელი ენერგია. ამ ხახით ვიბრძვით ჩვენ.

მაგრამ ლიტერატურის განვითარების ერთი უმთავრესი პირობათაგანი საზოგადოებრივი აზრის სიახლე და თანაგრძნობაა. მწერლობა მასსების ყურადღებასა და ავტორიტეტზე უნდა დაემყაროს.

„პოეზიის დღის“ მნიშვნელობაც სწორეთ მწერლობის მასსაში გატანა, ლიტერატურის მასსიური პროპაგანდა უნდა იყოს.

ბესარიონ ჯენტი.

ტფილისი, 5 მაისი.

დიდი ცეცხლი ქუთაისში! სამასამდე სახლი გადაიწვა! ხუთიათასამდე მოსახლე უბინაოდ დარჩა!

გუშინ რა ცეცხლი სწვავდა ქუთაისს!
დღეს რომ ტფილისსაც სწვდეს იგივ ალი—
ჩვენი გული გრძნობს ცეცხლიან მაისს
და ცრემლებს მაინც არ დაღვრის თვალი!
გუშინ რომ ღარიბ მოსახლეობას
გაუნადგურდა კერა და ნიში
დღეს რომ იგივე დაატყდეს ტფილისს,
ჩვენს გულში მაინც არ შევა შიში!
ჩვენ მივაშურებთ ღარიბ სადგურებს
გულში არ იჭნას ღელეა და კრთომა:
რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს—
ხვალ გულდაგული აღადგენს შრომა!
ო, გადამწვარო სახლო და შრომა,
რა თანაგრძნობით—შენს წინ იხრება
დღეს პოეზიის მაღალი დროშა!
ჩვენ მივაშურებთ დამწვარ სადგურებს
გულს არ ჩაიდო შიში და კრთომა:
რასაც დღეს ცეცხლი გაანადგურებს—
ხვალ გულდაგული აღადგენს შრომა!

11 მაისი
1928
სტამბაში

გალაკტიონ ტაბიძე.

ფეხსაცმელის მწმენდელთან

მე ვაწმენდინებ ფეხსაცმელს მწმენდელს,
და ვფიქრობ ახალ პატიოსნებით:
— ო, ერთხელ მაინც, სიცოცხლე, მენდე,
თუმც არ ოროან სანდო მგოსნები.
— მე დავიღალე ოცნების გზებზე
და უსახლკარო შენთან ებრუნდები.
მეტად ბასრია ჰაერი მთებზე,
მეტად ბრწყინავენ იაგუნდები.
— ბრიზანტემების თეთრ სურნელებას
მე მირჩევნია სურნელი პურის,
და მარტობის სამნელებას—
მშრომელი ხალხის სალამი ძმური!
ვხიარ და უცდი თავმდაბალ მწმენდელს,
უნდა ვისწავლო მე თავმდაბლობა.
— ო, ერთხელ მაინც, სიცოცხლე, მენდე,
და მთქმელნი შენთვის შადლობა!
მე ვერფერი ვერ დამალონებს,
ეარ სიყვარულის ცეცხლი უტეხი,
და ეს მწმენდელი ქრისტეს მაგონებს,
მოწაფეებს რომ დაბანა ფეხი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

აპრილი 1928 წ.

ფერილი ტიციან ტაბიძეს

ნაწყვეტი რომანიდან

მისმინე, ძმაო! მეუდროებას არ დავარღვევდი,
მაგრამ ხან ჩემდა უნებურად გრძნობა თავს იჩენს,
და მე ამ გრძნობით დატვირთული მოგესალმები!
მინდა მოთხრობას გადუხვეო, ძმაო ტიციან!
ნეტამც შემეძლოს მოგონებას ვუთხრა: „მშვიდობით!“
და რომ გაბედვით ჩაეოეხო სახეს ნიღაბი,
ქუჩა და სახლი მახინჯებით აივსებოდა,
დაინახავდი გაიძვერა, ორპირ ჯამბაზებს!
გულში იტყოდი: ამდენ ბოლმას როგორ იტევენ?
პატარა მწერი—ჭიანჭველა—დიდს ტვირთს მიათრევს,
ქონდრისკაცი კი შურს და ნაღველს მთლად დაუფარავს.
პოეტი განზრ.ხ სილამაზით ამკობს გარემოს,
რომ მომავლისთვის აღძრას სიტკბო, ბრძოლის სურვილი!
ვინ პოეტები? რად არცხვენენ სახელწოდებას?
რის იმედი აქვთ ძველი გემის ყალბ კარგადორებს?
ხუთზე მეტს პოეტს საქართველო როგორ იტვირთავს?
ესეც ბევრია. მათ კი ვხედავ ურიცხვს ჯოგებად!
მთაში ბწყინსებსაც ალარა ქმნიან ამდენი ...
ის ურმა ვინ არის, ავიყვანო დაკოცილ ხელით
და პოეზიის სიმეონმა ვსთქვა: „განმისვენე?“
ნუთუ მოვიდა? ვარსკვლავს ვხედავ, მას კი—ჯერ ვერა!
ამ დიდ ეპოქას სხვა სჯირდება მახარობელი,
უნდა ვიხილოთ შოთას ნიჭი მუშის თვალებით!
მაგრამ ვინ ჰბოდავს? ტინგიცები, მატაოცები!
ყურს ვერ დაუგდებ მათ მოჩმახულს, ვერც გაოცდები!
თითქოს თბილისი პოეტების საგიეთია!
ჰაერს სწამლავენ, სხვა ჯანსაღსაც შეესრიან ზიანს!
გახსენით სულით ავადმყოფთა სახლის კარები!
გარედ დადიან გიჟნი თოკით შესაკრავები!
კრიტიკოსები?—მათ მე უნდა შადლობა ვუთხრა,
რადგან მომიძღვნეს გინებასთან ქება მრავალი!—
ორივე ერთად მსუბუქ სმენელს აღიზიანებს!
და მე იმდენი ჰონორარი არ ამიღია,
რაც მათ მიიღეს ამდა—უბდა ჩემს გინებაში!
ეხედავ, უვიცი ბუზანკალი ჭკუას მასწავლის.
ჩემს გულთან მოაქვს უცხო მეტრი, სადღაც ნაქურდი,
და, რომ არ ბწვდება არც სიგანით და არცა სიგრძით,
ყვირის, აჯერებს ჩემი ჩანგის ეფარგისობას!
ჯიუტი ბავშვივ გაიძახის თავმოწონებით:
„ნახავთ, გინებად გარდაიქცეს სანდროს სახელი!“
მაგრამ ეს ჩემთვის, გწამდეს, არის ბუზის ბზუილი,
შემოდგომობით რომ გიკბენს და ადრე მოკვდება!
და ისიც ვიცი, სპილოს მუდამ დაპყეფს ფინია!
მაგრამ ღირს განა ლაპარაკი ამ ნაღვლ ხალხზე?
ძმაო ტიციან! ეჯობ, განვაგრძო ლექსად მოთხრობა.
მე სანამლეოს არ წავაგებ, დაუსძლევ ამ რომანს,
და ჩემი გმირით დიდ საბჭოეთს დავაგვირგვინებ.
იქნებ ამ გმირში იყოს ავტო-ბიოგრაფიაც.
დამფასებლებიც მომავალში გამოჩნდებიან,
როს წყალნი წყალენ და ქვეშანი აქ დარჩებიან!

სანდრო შანშიაშვილი.

ღღე პოეზიის

ღღე პოეზიის და პოეზია,
სიცოცხლე, ბრძოლა, ცეცხლი და რკინა...
ელს ყვავილები შემოესია
და მთის ნაკა:ბა მკერდს გადურბინა...
ტყეში ბულბული აკრიმანჭულდა
და კრიმანჭულიც მოედო სოფლებს!..
პოეტს ზამთარი და ყინვა სძულდა,
ეტრფოდა მაისს, ყვავილს და ფოთლებს...
ზოგი სიცოცხლის ნიშნად სახავდა:
ფოთოლზე—ნაკს და ყვავილში—ფერებს,
ტკბილ-ხმოვან ლექსებს ამაზე სთხზავდა
და ამ ხმით რითავდა თავის სიმღერებს!..
სიცოცხლის ნიჭი მეც მაფრთოვანებს,
ცხოვრების ძალამ მთლად გამიტაცა:
მესმის, მჭედელი გრდემლს ახმოვანებს
და რეკს ჩაქუჩით რკინიდან ნაკარს.
რომ უფრო წითლად ელავდეს შანთი!..
ცმუკავენ კედელზე—მჭედელის ლანდი
და ცეცხლიკ—ინის საფარზე—წინა!..
ეანგით და მურით ნაბაზი სახე,
მკლავებში ღვედი, სენთი და ნება,
ყოველი დარტყ:ა—ციკი და მჭახე,
გრიგალი, შიში და მრისხანება!..
მაინც ეს ხმები და ეს ფერები,
ეს მოძრაობა და აგონია,
ისე მწყობრია, ვით სიმღერები,
და ისე ნაზი—ვით სიმფონია!..
ელზე ჯეჯილი ამაისდება...
ბაღში ყვავილებს დაელის ქარი...
პურზე თავთავი რძით აივსება...
ელვებს ოქრო და მინანქარი!..
და მაშინ წვეა განხდება ელად:
„პური შეგვქმნია უკვე სამკ.ლი!..
ირხევა პური და მოდის მჭრელად:
ყანის მუშა და მჭედლის ნამგალი!
აქ კიდევ ერთხელ ხმას აღძრავს ქნარი,
ერთხელ კვლავაც უნდა აღეერდეს რკინა,
წვება ძირს ოქრო, ვით ნიაღვარი,
ელავს ვერცხლი და მზის თინათინა!..
მაშინც ეს ხმები და ეს ფერები,
ეს მოძრაობა და აგონია,
მწყობრია ისე, ვით სიმღერები,
და ისე ნაზია—ვით სიმფონია!..
ფას არის მაშინ ყველა ლექსები,
ღღე პოეზიის თუ პოეზიაც,
რადგან ხარობენ პურის ფესვები,
რომ თავთავები შემოესიათ!..

ნ. ზიმლეთელი.

უტრუხუნე

პოემის შესავლიდან: საზანდრისათვის.

მახპინძელი:

— ყარს საზანდარი მოგვადგა
რა გავიტანოთ, რა გვაქვ,
— დაუსხით რქაწითელისა,
ხოხობი ჩავატაბაკოთ...

— ყელი თუ ჩამაჭრებია
და ხილი მოეპრიანა,
— ხონჩა ვარსკვლავით გაუვსეთ,
დანაც მიართვით პრიალა!..

საზანდარი:

— „მოწურვილ იყო ბაფხული
ქვეყნად ამოსული მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი
დრო მათის ჰაერმანისა"!..

სიტყვაც, დაისხი ზურმუხტი:
პირველი ნამეხარია!
გადაწვენილი ვახვით
გავშლილვარ, გამიხარია!

საკახეთურო ღრუბლებო,
სამგორს ადუღეთ ვარდები!
მთვარეე, იორში დაწექი:
კალმახებს შეუყვარდები!

შენი ჰირიმე გამზრდელო,
— წნორ-ით დაწნულო აკვანო.
— შენ, ბიჭო უტრუხუნეო,
ლექსები გამოეაქანოთ!..

ს. პატარძეული. **გიორგი ლეონიძე.**

უტრუხუნე—კახელი ყმაწვილი, „ტყის ამობის" წევრი, მოკლული 1912 წელს.

ჩვენი ცხოვრება

ჩვენი ცხოვრება: დღეს ყოველი კაცის ოფლია
და კაციც უნდა მას მისდევდეს პირფარეშივით.
აღმშენებლობით დღეს დღეებიც გაფოფრილია;
დღეებს, ყოველ-მხრივ შესევიან აღმშენებლები.

სკდება კედლები... იმსხვრევიან ძველ-დროთა ბჭენი
და ლაღუმების აფეთქების ისმის გრიალი...
ადამიანო, წინ გასწიე, შორს შეიჭერი
კმარა, რაც დღემდის დააყოვნე, დაიგვიანე!

პ. ქუთათელაძე.

აფხაზური სიმღერა

ენგურში მთვარე ჩავარდა
ვერცხლით მოჭედილ ციდანა.
ენგურში მთვარე ჩავარდა,
და ვერცხლი ჩამოიტანა.
ასე ამბობდა ენგური:
„რიონის ქება მსმენია:—
ყოფილა ერთობ შემკული,
და ზეცა ლურჯად ჰფენია."
„მთებით ვარ შემოსილი
და ქანჩახებთან ძმურადა.
მენატვრის ნახვა დიმილის,
და მასთან მისვლა სტუმრადა."
„მართლაც თუ ისე ფართეა,
როგორც ავიესე სმენითა?
ან თუ ჩემსავით მარდია
თეთრი ჩქერების დენითა?"
„მთვარე ხომ—ვინ არ მიხვდება—
ყოველლამ ჩემთან წვებაო...
მეც ველად გაშლა მიხდება,
და ზეცაც მეფინებაო."
ენგურო, რიონს ვერ სჯობნი
გადმომსკდარს ფასის მთიდანა!
მთებში ხარ სადღაც ნაპოვნი,
ქაფათ დაღვრილი კლდიდანა.
შენი ტანი და იერი
მისას ვერ შეედრებაო.
მთვარეც გღალატობს ცბიერი:—
თურმე მასთანაც წვებაო!

სოხუმი. 1927 წ. **კოლაუ ნადირაძე.**

ახალი ეკლესია

ეგ ხორბლისფერი სხეული
ალვაა ბაღში რხეული.

შენი თვალები ულრანი
თითქოს ტბებია მუხნარში.

ტბებში სდგას გიშრის ქედები...
შიგვე სცურავენ გედები.

გედები ჩემი ფიქრია,
მაგრამ უმიზნოთ მიჭრიან.—

რადგან გუმანი გულისა
შორ ტრფობით დადაგულისა—

შენთვის ვერ მითქვამს ანაგებ
თუმცა ჩემს ოლბალს განაგებ.

ჩემი ოლბალი შენა ხარ
ჩემს გულში ვაზათ ნახარი.

და ის ქარხანა თუთუნის
სად მტკვარი მიდის დუდუნით,

და მიაქეს ძველი მითები...
სადაც ეგ შენი თითები

დღეს პაპიროსებს კონიან—
მე ეკლესია მგონია.

რაჟდენ გვეტაძე.

ჩვეულებრივი დღე

აჰა, გადავდევი გვერდზე ილიადა.
ვკითხულობ გაზეთებს.
სულიერ სიმშვიდეს ვაფასებ მილიარდათ,
ვაფასებ სისხლის წვეთებს.
ყოველგან ბრძოლაა, ყოველგან საფრთხეა:
გაფიცვა მელითონეთა, გაფიცვა ფეიქრების...
ამხანაგებო! ეს ჩვეულებრივი დღეა,
ჩვეულებრივია ჩემი ფიქრებიც.
მე მუშათა ბედს კი ან ვგებულობ
წიგნებით,—
გული ადრევე ამბორგებია,
საკუთარ თვალით დამინახავს ყველა საგნები.
და ხშირად ვეტყვი ოლბალს,
ამოსვრილს მიწეთში:
გმადლობ ეს ცხოვრება რადგან გამაკანი,—
ათას გაჭირვებას ვიგონებ ერთ წუთში
—ძიავ, ფული მომეც!—ოთ მეტყვის ჰაკანი...
ვკითხულობ ქრონიკებს:
„ხაჭესი.
„რიონჩესი.
„აბჭესი.
„მუშკოოპი ფართალს მალე დაარიგებს.
„მოსავალს პირი ურანს წრეულს უკეთესი...
ხალისმა იმატა. კარგია ეს ქვეყანა.
მე თვალწინ მიდგას ყანა;
ვხედავ წყაროს და ბალჩას, ყვავილებს, ხეს,
მზით გათანკარებულ შვენიერ დღეს...
ჩემი ეზოს იქით გაშლილი ტყეა;
ვსუნთქავ გაზაფხულის აბწეანებულ ქედებს...
ეს ჩემს დღიურებში ჩვეულებრივი დღეა,
როცა ტფილისში ვარ და
ვკითხულობ გაზეთებს.

გრიგოლ ცეცხლაძე.

გულის კასუხი.

ვიღაცას სწერდა:
„1001 კოცნას, საყვარელო, გიგზავნი შორით".

სოიალებს თოვლზე ჰატარა ციგა,
ვიგონებ წიგნში დამალულ წერილს
და ახალ დარდებს მომაყრის ციდან
გაქურდულ გულზე ცრემლით დასერილს.
ავხადე სურვილს მხურვალე ლოდი,
გულს გინახავდი, როგორც შაჰ-ნამეს
და შენ კი თურმე სხვას ჰპირდებოდი
„ათასერთ კოცნას", ათასერთ ღამეს.
ეხლა ლოდინი დროთა მზომავი,
ან საყვედური ვის გავაყოლო?!
თვალს შეძოვლო ვერცხლის ზონარი
ყმაწვილურ ზღაპარს მოეღო ბოლო.
ეს მოხდა გუშინ, ეს იყო წუხელ
ელდა დამეცა ყაჩაღ ლეკსავით
და ვით კახეთში თამარის ციხე
დაინგრა ფიქრი გაულექსავი.
სრიალებს თოვლზე ჰატარა ციგა,
ვიგონებ ჯავრით დახეულ წერილს
და ახალ დარდებს მომაყრის ციდან
გაქურდულ გულზე, შხამით დასერილს.

ნინო თარიშვილი.

ადგილი მოთხრობიდან

სამოედური ზღაპრები.

I.

— გაიელი ყინულებს, იარ ჩრდილოეთით, გადახვალ მბრუნავი ქარბის ალაყაფზე და ნახავ ხალხს, რომელთაც იციან მხოლოდ სიყვარული და არ იციან რაა შური და მტრობა.

ეს ხალხი მხოლოდ ცალფეხაა და მარტო ვერ დადიან, მაგრამ მათი გული აღსავსეა სიყვარულით და ერთი-მეორეს ეხუტებიან.

და როცა ისინი ასე არიან ჩახვეულნი,— მაშინ შეუძლიათ სიარული, როცა სიყვარული განელის,—ისინი სწყდებიან ერთი მეორეს და იხოცებიან.

სიყვარულის დროს ისინი სასწაულებს ახდენენ.

როცა მათ ნადირის შეჰყრობა უნდათ, ანდა ბოროტი სული აედევნება. მაშინ ისინი ხატავენ თოვლზე მარხილს და ირემს, სხდებიან შიგ და მიჰქრიან ისე, რომ აღმოსავლეთის ქარის ბიბინიც ვერ დაეწევა...

II

სამოედმა ნახა ტყეში შეკრული კუბო: ოთხი ნამორი ჩასობილი მიწაში და ფიცრებით ყუთივით შეკრული.

კუბოსთან იდგა გადაბრუნებული მარხილი ტეირთით და მოსართავებში გახლართული ირმები.

სამოედმა ირგვლივ მოიხედა—არავინ არის.

აღმოხდა:

— ვინ ხარ აქ?

კუბოდან ხმა მოესმა:

— მე ვარ, გასათხოვარი ქალი, დამარხული.

— რათ დაგმარხეს მერე?

— მოკვდი და იმიტომ.

— ვინ გითხრა, ან როგორ მიხვდი რომ შენ მკვდარი ხარ?

— მთელი ჩემი სიცოცხლე მკვდარი ვიყავი, არ მქონდა სული, მაგრამ მე ეს არ ვიცოდი და ვცხოვრობდი ისე, როგორც ყველა ცოცხლები. ერთხელ. როცა მე სასძლო შევიქენ და მშობლებთან და საქმროსთან ერთად ვიჯექ კერიასთან ქორწინების წინა დღით, კერიიდან ავარდა ნაღვერდალი და ტანზე დამეცა. ჩემმა მშობლებმა, ჩემმა საქმრომ და მე მაშინ მივხვდით, რომ მე სული არ მქონდა და რომ მე მხოლოდ ხილვა ვიყავ. ყველაფერი ის, რაც მე მახლდა და მქონდა, ისიც ხილვა იყო. მე დამასაფლავეს და ჩემთან ერთად დამარხეს ყველაფერი, რაც ჩემი იყო.

სამოედმა მიუგო:

— გინდა: გავტეხ სამარეს და შენ იცოცხლებ?

— არა, მე არ მაქვს სული და სიცოცხლე არ იქნება.

— მე მოგცემ ჩემი სულის ნახევარს და შენ ჩემი ცოლი იქნები.

ქალი დასთანხმდა.

სამოედმა გასტეხა საფლავი, იხსნა ქალი ტ სახლში წაიყვანა.

III

ზაფხულის ღამით, ახალ მიწაზე, ერთი სამოედი იჯდა ზღვის პირას და მღეროდა.

ეს შუაღამით იყო.

მზე ჯერ კიდევ წყლის ქვეშ იდგა და ბალახებში და ჰოლუსის წვრილ ყვავილებში იბეჭეტებოდა მისი სხივები.

სამოედის სიმღერა არ არღვევდა მყუდროებას,—ავსებდა.

მზე ნელინელ ამოდიოდა და საცა იყო დღეც მოვიდოდა.

სამოედი იჯდა ზღვის პირას და მღეროდა, რასაც ფიქრობდა:

— მე გორაკზე ვზი
და გავცქერ მზეს და ზღვას,
მზეც გვიცქერის: მე და ზღვას,
და კარგათ ვართ ჩვენ სამნი:
მზე, ზღვა და მე.

დემნა შენგელაია.

მიწის ყივილი

(ნაწყვეტი)

ეჭიმმა მითხრა:

— ძალიან დაღლილხართ. უნდა დაისვენოთ. წადით პარიზიდან ზღვისკენ გაისეირნეთ, ან ალპებს შეეხიზნეთ. თითიც აღარ გაანძრიოთ: სჭამეთ, სვით, იხეტიალეთ, იბანავეთ და იგორავეთ. თქვენი წამალი მარტო ეს არის. ორეულარ!

პარიზს ვერ მოეწყდებოდი. ვიღაცამ მირჩია ნოტანი.

საკვირველია: სადაც ზღვა სისხლი დაიღვრება, იმ ალაგს რაღაც იდუმალი ძალა მიეცემა: მისი სახელი მთელ ქვეყანას მოედება და ისტორიაშიც დარჩება. ყველას იზიდავს და იპყრობს იგი, თუნდაც უდაბური და მიუსაფარიც იყოს.

ალბად ამიტომ ავირჩიე მდინარე მარნა და მის ნაპირზე გაშლილი ნოტანი.

პატარა ქალაქია. პარიზის გარეუბნიდან ფეხით ერთი საათის სავალი ძლივს იქნება, ისიც ჩრდილნარში სავალი. თუნდ შარანტონის ჭალებს აყვეთ, გინდ ვენსენის ტყე/ გადასჭერით—უმალ ამ ქალაქს წააწყდებით.

ალარ დავაყოვნე: ერთი ოთახი—„პტი შამბრ" დავიქირავე და ეჭიმის დარიგებას გავყევი: დილით-საღამომდე თითსაც ალარ ვანძრევდი. ვჭამდი, ვბორიალებდი, მწვანეზე ვგორაობდი და ნახევარ დროს მარნის ნაპირებზე ვატარებდი.

არსად მინახავს ასეთი მდინარე. რონა თუ შეედრება.

ღრმა და განიერ არხს მომაგონებს: დინჯი, მშვიდი, ხანტი და ანკარა. მუდამ სთვლემს, იზმორება, ილოღნება. ზედაპირზე ჩალის ერთ ღერსაც იშვიათად მოსძებნით, ხოლო ფსკერი —მუქი და ხავსმოსილი—ნათლად და მკაფიოდ მოსჩანს, როგორც ქენჩი წყლით სავსე ჭიქაში.

პატარა ქალაქს ბაღიც პატარა აქვს, სამაგიეროდ ჩრდილოვანი, სუფთა და მყუდრო.

ერთხელ ნასადილევს, სანამ საბანაოდ ჩავიდოდი, ამ ბაღში შეეიხედე. ვეება წაბლის ქვეშ გრილი ბინდი ჩაწოლილა. ხის ჩრდილში გრძელი სკამი მოსჩანს. მივედი და დავჯექი.

ქვიშნარ გზაზე ღრმა მოხუცი მოდის—ჩანჩალით და ცანცარით.

უფრო მოეთრევა, ვიდრე მოდის, და ერთ ფეხსაც კონკილასავით მოათრევს.

ხელში კოერიანი ჯოხი უჭირავს. ძნელი სათქმელია: ჯოხი ჰშველის მომავალს, თუ მოხუცი ჯოხს. ორივენი ძლივს მოფარფატებენ.

პირდაპირ ჩემკენ მოდის. ჩრდილში შემოვიდა და უცბად შესდგა—გაწყარალი თუ გოცებული. მთრთოლვარე ხელით თვალები დაიჩრდილა და მომაშტერდა. მეც ვზივარ და ვუმზერ.

დიდხანს სდგას და ცახცახებს, თანაც მიბღვერის და ხრინწით ახველებს.

მერე გაბრუნდა და წავიდა, თანაც განიერ და მოხრილ ბეჭებზე წყრომა დაიწერა.

„ალბად შეჩვეული ალაგი წავარ ოვი.—გავიფიქრე და თავი ვიმართლე:—სკამი გრძელია. მოვიდეს და დაბრძენდეს".

მეორე დღეს იმავე დროს იმავე სკამზე ვზივარ და წიგნს ვკითხულობ. ქვიშის ხრაშუნი მომესმა. ისევ ის მოფარფატებს. ჩრდილში შემოდის და გუშინდელივით მაშტერდება.

— ასსეიე ვუ, მესსიე—დაბრძანდით, ბატონო.—მივიპატიჟე და ნაპირისაკენ გავიწიე.

მოლასლასდა, კრუსუნით დაეშვა და გაშეშდა.

ჩვენი ყუჩილი ბინდსა და სიგრილეს ეზავება. ღრმა დუმილს იშვიათად არღვევს ჩემი წიგნის ფურცვლა და მოხუცის სუნთქვა. შემდეგ წიგნი გვერდით მოვიდე, პაპიროსი გავაბოლე და გაერინდდი. ცხელა. მოთენთილი ვზივარ თუ ვგდივარ.

სივრცეს გავცქერი და მოეუტეული თვალით ვხედავ: მოხუცის ცანცარა თავი გაშლილ წიგნისკენ იღუნება. მერე უცბად დააფრინდა, თითქო მშიერი მოხრაკულს დასწვდაო: წიგნი გაწყალებულ თვალებზე მიიდო და ჩააცივდა. გადაშალა, გადმოფუცლა, სათაურს დააშტერ. და და მომიბრუნდა:

— პარდონ, მესსიე—ბოდიშს ვიხდი, რა ენაზეა დაბეჭდილი ეს წიგნი?

— ეორეიენ,—ვუპასუხე,—ქართულია. გაგონიათ ქართული, საქართველო?

შიშით შემოსხედა. შეკრთა—თითქო ცეცხლს წააწყდაო. წიგნი სწრაფად დაეცა, თითქმის მომიგდო, წამოდგა და ჯაგჯაგით წავიდა, თითქმის გაიქცა.

გოგმგოკრის ღამეები

2. ნოსტალგია.

ჩვენი მასპინძელი საწყალი კაცია.
ბუბარი აგვინია გულუბრად.
და ღამე უძირო ტყეებს რომ აკვია
გუშინ ჩვენ გვეხვია.
ბამბურჯე ბაშინეს ჭედილის სიმანე,
ხაშლამა ხოსბაზე დახლიკს მაურულად.
მწყემსებმა პატარძლის ფარდაგის სიგანე
გაშალეს ცანგალა, გოგო და ჩაკრული.
და სალამურით გულის პირს ლეწავენ
ზედ ისე მღერიან—
ეს ჭიაურში მოკრული ლერწამის
პატარა ღერია.
ბანშიაშვილის წისქვილთან ვერბეა
და ლეკის ქალიკით ავსილი ლულები.
იქ ერთხელ დარდი შეშინებია
ბიუგრეკნან ქალის ხელებით.
ლერწამი გავთალე ირმის რქის დანითა
და წიგნი მიეწერე საყვარელს.
იმღერეს ბიჭებმა, ფილამაც ინათა
და გულში გოსმორის ღრუბლები ჩაყარეს.
თუ ძმა ბარ ნე წიალთ, რა გვინდირება
ღღეს თითქოს ნისლები დაგვეჭიდა ტანითა.
საცაა ღამე რძეში აიბეკა
და მთებს გადმოლახავს მზე დაღესტანიდან.
ხვალეც გავთენთო მწყემსების ბინაში
სალამურები დავიკრათ ენაზე...
და მუხლმოყრილებმა მინდვრების და მთების
წინაშე—
ვიფიქროთ ქვეყნის გადარჩენაზე.

ილო მოხაშვილი.

დიოსკურია

იყო ხმაური. დაობდა ეგ ზღვა,
და ირეოდენ ხმები ელვინთა.
სოფლა, ზაური და ხმლების ლესვა.
მწვიდობა ხალხის ხალხ, დაებინდა.
მოვიდა რისხვით ღრუბელი ლვგა:
რიგი დაიბნა, ხმლები დაყარა.
ზღვამ გმინვით ქვიშა ზორს გამოლეკა—
და ფუძე ნაპირთ გამოუთხარა.
ძველი ქალაქის იცვალა ფერი,
და აირია ქუჩათა მიჯნა.
მაგრამ ამშენდა კვლავ მშვენიერი
ნანგრევის მხრებზე გადმოამიჯა.
გადარჩ, ხსოვნა მხოლოდ წყნარი სული:
ჩცვალეს სახე და აურიეს.
ღღეს ხეივნები ხმირის ნარინჯის
ეშშვენებს ველებს დიოსკურიელს.

იახამანი.

„სამშენ"-თან

სამუშაოდან დაბრუნებული
გარეუბანში გავიელი ქუჩას,
ფიქრობ: რათ უნდა გაჩერდეს გული,—
როდესაც ბრძოლას ბოლო არ უჩანს.
ეფიქრობ და... ფიქრი რაღას მიჰქვიან,
როცა მიეფეკ „სამშენის" კედლებს;
როდესაც ლონეი სწრაფად მიქროიან,
და როცა ახრი ასაკალ ეტყვს!
სდომდა წინადვე ფრო დამეზოგა,
არ ვიცი თუ ვინ დამაკო მიბეს...
ბრიმის სამეფო იყო მეზობლად,
მე კი „სამშენიე" ვერ დავინახე!
ჩემს ყურადღებას იზიდავს რიტმი
ხეროთმძღვანი ურტყამენ ურიოს;
შემოკმედებაც აქვეა, თითქმის
თვალიც ჩერდება—უნდა ეფიქრის!
„სამშენის" მაღალ კედლებს აკეთია,
შემოკმედების რიტმი ძალებში,
და უეჭველად რითმაც აქვეა,—
აქვე გეგონათ რითმებს ალღლეში.
ახალი ბრიმის ახალ შენობას,
რიტმიც ჭქონია თავისებური;
მეც ამ ახალში ვათავსებ გრძნობას,
რომლითაც ახლად ავიკვნე გული:
სამუშაოდან დაბრუნებული
გარეუბანში გავიელი ქუჩას,
ეფიქრობ: რათ უნდა გაჩერდეს გული,
როდესაც ბრძოლას ბოლო არ უჩანს?!

ბაბილინა.

შენ აღარ მოხვალ

ბავშვს ეკვარი ცა. მეც მიყვარდა, რადგან მეგონა
ვარსკვლავის სახით შენი თვალიც იქ ბანაობდა.
მიქროდა ქარი. მოგელოდი წასულ მეგობარს,
შენ აღარ მოხველ... ნავიც მოწყდა ძველ სანაოდან.
და ეხლა ვდარდობ, თუ შენამდე რისთვის დავეშვი,
მიჯნურის სუნთქვით დაჭრილ მკერდში რატომ ჩაგხედე.
ირხევა ტყე... და ბინდებით სავსე თვალებში
ფრინავენ ბაშური, უდარდელად მოჭახჭახენი.
აკვნესებული გული მერხის განწირულ ჩიტილს,
შიგნიე ღღეები ეროსნჩილი მტკივა ძვლებივით.
ასე მგონია, საკუთარი დავკარგე ჩრდილიც.
შენს ნაფეხურზე ხეტიალით დამძიმებული.
შენ აღარ მოხველ—ზორ ბილიკებს ნისლავს ტყეები,
მსურს გადმოკვეირო გაშმაგებით, რა გზით წახველო,
რად არ ესმენდი მგოსანს შენზე ამეტყველებულს
ქალაქ ჩემო, დარდო ჩემო, გულის ძახილო.

დავით გაჩეჩილაძე.

თბილისიდან კავკასიამდე

(ამბ. ა. ფ—ძეს.)

მინდა ვიცოდე თუ ვიცი ამღვნის ღირსი
რომ შეიდ საათში დამადგა ასკერ ბენამ.
ეხლაც მგონია გადმოფრინდა ბიუბიდან ნისლი
და ნამალებმა ბრილბანება შემოინახა.
ბზე მიდის ახლა და ბზეკენელ სტიკები ბორბის
ოდესა ტფილისი ბეოთანი წყალში დაეტოვეთ
აქ დარბა ბტეკარიც. ბალეთიდან ეკბენაბირეთ
ღღეს სხვა ხალისი და ოცნება ეზად ვიბოვეთ.
აქ ეხლა მთები ჩაკეკილი ჩიტის ფრთებივით
მოსხრეს: იქ სადაც დაღეკარა ირსენის სისხლი,
სადაც ნდინარეს გაეკრია მაღალი მთები
და ეხლა ბიწა ოფარება პატარა ნისლით.
მინდა ვიცოდე ვინ გალესა ბაშინ ტ.ნები
ირსენის გულში ბურდეღიეთი, რომ გაჭრილი
და ეფიქრობ ალბად მეც ირაკის დაეკანები
რადგან ვისწავლე მიზნებისთვის მეფეარი ბრძოლა.
სუფთა ბაური, მინდერებია დაფეკული
მე სიმღერები დამეცემა ეტკაბს წვეთებათ
აქ სტეანირად ეეწეკეთ საგალობელი
და ეესწავლეთ სტეანირად საქმის კეთება.
მე არ მეგონა დავიჭერდი ამოდენ გრძნობას
ასე პატარა, სულ პატარა ადამიანი
და გადავსწყიტე მანქანაზე გულის მინდობა,
როცა თვალებთან იმართია მთები კლდიანი.
მივდივარ ბეკით. ტანმორჩილი კაცი მიმეცემა
სახე აქვს ლურჯი და თვალები გრძნობებით საესე.
ალარ ეფიქრობდი კაცი ასე შემეყვარდება
და მე არ ვიცი ამბანაგი რათ დაეფასე.
—ეკვე დაიწყო სიცივე და გულის ანკალი
ეს შემომძახა მეგობრულათ, სადა სიტყვებით,
როცა ერთი მთა სიბარულით გადანავალი
ამაღლდა ისევ და გაკვეთეთ ნისლის სეტრები.
ჩემს ამბანაგში დავინახე ულრმესი რწმენა
და გულწრფელობა სისპეტაკით ამაღლებული,
მე მირჩევნია საშუალო მასთან მოწყენა,
ვიდრე ზოგ ხალხთან დავდიოდე გახარებული.
—ეწინ ამ გზაზე გამელია მარტოკა ფეხით
და გულს ამდენი გასაჭირი არ დასდგომია,
ბაშინ რუსეთში დაგორავდა ცეცხლი ეტეხი,
რომელიც ჩემთვის სიბარულათ მოსაგონია.
—მე ეკვე კარგათ ეოფიქანეკ. შენც დარწმუნდები,
ჯანის სიმრთელე გაიტაცეს ძმიმე დღეებმა.
შენ ამბანაგო!—მაზნებიდან ნე შებრუნდები,
რომ ჩვენი ბრძოლის ჟარტეხილში მტკიცეთ შეება.
გაწყდა სიტყვები და გაშრალი ტუჩები ლურჯი
ოდნავ კანკალით დაიხურა თვალების ახლო
მე ვამბობ გულში: ამბანაგო!—ერის გადაურჩით
ცოტა კიდევ და.... ეს მწკერვალიც რომ გადავლახოთ.

ეცბად მოტრიალდა, თვალები ხელის გულით დაიჩრდილა, შემომხედა და, თითქო უარესად დაშინდაო, ნაბიჯს მოუხშირა, თან ქვაშნარზე კოერიანი ჯობით გრძელი დატალღოვანი ლარი გაიყოლა. ჩამეცინა.

„აბრი რამ თუ აქვს აკვიატებული"—გავიფიქრე და მარნისკენ გავწიე.

მეორე დღეს ერთ პატარა სახლთან, ხლართიან რკინის კარებთან, ისევ იმ მოხუცს მოვკარი თვალი. მოუდრეკელ ბოძივით იდგა და საკუთარ ფეხს დასცქეროდა. დამინახა, მოსხლტა. ეზოში შეეარდა, მაღალ ბუჩქებს მიეფარა.

ისევ გამეცინა. ოცოიდე წამის შემდეგ ანკარა მდინარეში ვეუეპალაობდი. ის მოხუცი და მისი ნაკვიატიც, რა თქმა უნდა, თავიდან ამოვიგდე და გრილ მდინარეს გავატანე.

* * *

ერთი კვირა გავიდა. უცნაურ მოხუცს ბაღში ალარ ეხედავ. სამაგიეროდ ორჯერ წავიწყენ ქუჩაში. ერთხელ—თავის სახლის წინ. იჯდა და სთვლიდა. რომ დამინახა, წამოდგა და ცალი ხელით რკინის კარებს მიეჭიდა, თითქო გასაქცევათ მოემზადაო, თან მოუტეტეტ თვალს მადევნებდა და თეთრი ნიჩბის წვერებში შიშნარევ ღიმილს მალავდა.

შორიდანვე გაეულიმე და სალამი მივეცი—ულრმესი, სამშვიდობო, თავაზიანი.

აპენტილ წვერ-ულვაშიდან, თითქო მოთოვლილ ფანჯრიდან, ოქროს კბილებმა გამოიხედეს. დაშინებულმა ბებერმა პასუხი არ მომცა. სამაგიეროდ შეეჩერხლული სარკმელი უფრო განიერად გააღო და ოქროს ბზინვა მზის სხივებივით გამაყოლა.

რომ დაეშორდი, შეედექი და მოვიხედე. მოხუცის სხივთა კონა ისევ მე მჭონდა მობჯენილი. ეხლა იმ სარკმელიდან და ორ მოხურულ სანათურიდან, ფანჯრის ზემოდან რომ იჭუიტებოდნენ, თბილ ტალღებივით მელამუნებიან უცნობის ნდობა, სიბარული, ალერსი და ბედნიერება—ბედნიერია იმის გამო, რომ...

არა, ჯერ არ ვიცი რის გამო და რატომ. კუთხეს მიეეეარე და გავიფიქრე:

„ეკვიატი რამ აედეენა. ბალღობას თუ დადაუბრუნდა. ალბად ბერე იქნება"...

— და მისი სახე, დამდნარი და სხივოსანი, ისევ მარნის ტალღებს გავაყოლე.

ორი დღის შემდეგ ბაღის კუთხეში წავაწყდი. ჯერ შეკოთა, კედელს მიაწყდა. შემდეგ, ჩემი მშვიდი ღიმი და დაბალი სალამი რომ დაინახა, ორივე ხელით ქუდი მოიშვლიპა, კისერი მოიდრიკა და გუშინწინდელივით ალერსის ტალღებში გამხვია.

„უეჭველად ეკვიატი აქვს ადეენებული".—ერთხელ კიდევ გავიფიქრე და უპრუნებლივ წავედი.

სამშაბათს, ნასადილევს—ის დღე გულში მაქვს ჩარჭობილი—ისევ წ.ბლის ქვეშ ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი.

ქვიშის ხრაშუნმა და ძალნატანმა ხველამ თვალები ამაწეკინეს. ჩემი მოხუცი ჩემსკენ მოჩანალებს—დაბინდული თვალებით, უნდობარი მოწიწებით და მერყეი სიბარულით. ქუდი შორიდანვე მოუხდია. შესდგა და ოქროყარაყი ააბზინა, ღია სარკმელი ააფარფატა.

— მობრძანდით, მუსიე—დავასწარი—პრენე ვოტრ პლას—აი თქვენი ალაგი.

წამოდექი, მკლავში ტალღი გავეეარე და დავსვი.

— თუ ხელს გიშლით, წავალ.—და წასასვლელად გავიწიე.

— რუსტე—დარჩით, ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩემო.

გვერდით მომისვა და აკრაჭუნდა.

— გეტყობათ, ჩემი ალარ გეშინიათ.—გაეულიმე.

— არა, ალარ მეშინია.

— პირველად რალად შეგეშინდათ?

— იმიტომ, რომ თქვენ რუსეთიდან ბრძანდებით.

— მერე რაო?

— ხე-ხე! მერე ისა, რომ... ჯერ თავი დაანებოთ ამას. მერე იყოს.

თქვენ სტუდენტი ხართ, არა?

— დიალ.

— ქართველი—ფორეიენ?

— ეორ ენ.

— პარიზიდან ამოხველით დასასვენებლად.

— აგრეა—ეუ ზავე რეზონ.

— მე უკვე გიცნობთ. ჩემმა შვილის-შვილმა ცნობები მომიგოლია.—და ჩემი სახელი და გვარი დამისახელა, მერე თავისიც დაუმატა: —ანდრე კაშორ.

გაჩუმდა. შემომხედა. ხუხლებზე წიგნი მედო. ისევ მაშინდელივით, წმიერივით დასწედა. ნერვიულად ჭყურსლავს, თვალებს აკვეცებს, თან ბურტყუნებს:

— სეტ ეტონან, სელა—საკვირველია, საოცარია!

— რა არის საკვირველი?

— ისე ვთქვი... არაფერი.

წიგნი დამიბრუნა და მიყურდა. სდუმს და გაცრეცილ ტუჩებს აკმაკუნებს, განიერ წვერებს აკანკარებს, თითქო სათქმელი აქვს და შიგ გაეხირაო. მერე ცახცახა ხელი ხელზე დამადო, წვერ-ულვაში ფარესად ააფრიალა და ხრინწიანი ჩურჩულით ჩამინიავა:

— ახლა თქვენი ალარ მეშინია... ქართული რაინდობის იმედი მაქვს... იმედი მაქვს არ გამცემთ.

— რა თქმა უნდა, რა სათქმელია!—დავამშვიდე.

— ყარგა ხანია ამბობენ, რუსეთში მეფე ალარ არისო. თვალთ დამაკლდა, გაზეთს ვეღარ ვკითხულობ. ამიტომ გეკითხებით, მართალია ეს ამბავი?

— მართალია.—დაეუდასტურე.—ძველისა ალარაფერი დარჩა: არც მეფე, არც ყანდარმი, არც გენერალი.

— უუ!—შვებით ამოიოხრა.—მრავალჯერ მითხრეს, მაგრამ... მაინც... ისე გკითხეთ. სიფრთხილეს თავი არ ასტკივეთ.

— რისა გეშინოდათ, რომ მეკითხებოდით—არ გამცემთო?—მოვაგონე.

— ჰო, მართლა.—გაიხსენა და კვლავ ჩემსკენ გადმოიხარა.—ახლა უფრო თამამად გეტყვით: მე, ანდრე კაშორ, რუსეთის „ცარის" მოსისხლე მტერი გახლავარ.—და წელში გასწორდა, თანაც რიხით დააყოლა:—ვოლა, ეე დი დეფა!—აი, უკვე გითხარით..

და ღიმილით, თავმომწონედ გადმომხედა. ალმაცერად გადავხედე. თან ღიმილიც დავუბრუნე:

— ბიენ! მაგას როგორ ვიფიქრებდი!?

— მაშა!—გაშხნედა მოხუცი.—აგრეა! „ზემლია ი ვოლია" გაგიგონიათ? სე მუა—ეს მე ვარ—ეუოლა!

— როდის იყო ეგ ამბავი?—უკვე დინჯად ვკითხე.

ანდრე კაშორს ალარ ახსოვს:

— ძალიან დავბერდი, ძალიან.

ის კი იცის, რომ პოლონეთის აჯანყება მაშინ ხოხდა—სწორედ მაშინ მოხდა, როცა...

თვალები გამიგანიერდა:

— აჯანყება? მას შემდეგ სამოცი წელიწადი გავიდა!

— შეიძლება... ალარ მახსოვს, არ ვიცი.

ის კი ახსოვს, რომ მაშინ ოცდახუთი წლისა იყო. ახლა კ. ამბობენ—სხვები ამბობენ, თორემ თვითონ კაშორმა ამა რა იცის—ოთხმოცდაოთ წლისა იქნებიო, მაშასადამე—

— ახლა თქვენ თვითონვე დასთვალეთ.

დავთვალე და დაეუბეჭდე:

— სწორედ გამოდის, ახლა მიბრძანეთ, თქვენ რა საქმე გქონდათ იმ ორგანიზაციასთან?

როგორ თუ რა საქმე ქქონდა! ნისი წევრი იყო, ნამდვილი წევრი! კაშორი მაშინ ერთ ქალაქში სცხოვრობდა. სტუდენტად უნდოდა შესვლა, მაგრამ... ალარ ახსოვს—

— მგონი არ მიმიღეს. ის ქალაქი დიდ მდინარეზე იყო გაშენებული—ჩაფიქრდა და—მისი სახელიც დამეიწყდა.

— პეტერბურგი?.. მოსკოვი?.. ყაზანი?

— ვეოლა, ვეოლა!—ეგ არის, ეგ! ყაზან... ყაზან. ვეო, სესა!

საღღაც ქარხანაში მუშაობდა—რა თქმა უნდა, განგებ. მუშებში შეიპარა. ერთი ამბანაგი ყავდა—ვინმე ჩერნიაკი.

— ჩერნიაკ?! იცნობდით ჩერნიაკს?

როგორ არა, ძალიან კარგად იცნობდა. სხვები დაავიწყდა, ის კი დაახსოვდა. პროკლამაცია დაბეჭდეს—ესეც ახსოვს. „დოლგო დაეილი ნას, ბრატეი"—ასე იწყებოდა.

და ოთხი რუსული სიტყვა ძლივს მოიგლიჯა ენიდან, ისიც ფრანგის კილოთი.

პირლია შეეკქეროდი.

„ალბად ეს ამბავი ადეეიატ".—გავიფიქრე და ხმამაღლა შეეკითხე:—მიამბეთ. იქნება გახსოეთ როგორ მოხდა ის ამბავი, ჩერნიაკის ამბავი?

ვეკითხები, თანაც არა მეჯერა, რომ ეს ბებერი იმ საქმეში ოფეულიყოს.

* * *

ელაპა ულუპით, ძაგძაგით და ფორბილით მიამბობს—თითქო წყალში იხრჩობაო. უმ-„ეესი ეიწყდება. უსერესი ადგინდება.

— ჩერნიაკს შავი ულვაშები ქქონდა.—და დაჭიმულ ჩიფიქრების შემდეგ—ყალბი მანიფესტი დაბეჭდეთ მეფის სახელით, ხე—ხე!

— ყაზანში აჯანყება უნდა ბოხდინათ. პოლონელებთან ეკუნენ შეთქმული. ვერ მოხერ-

რა სიჩუმეა. და ღრეჩელით დაეიფარებით.
მანქანა სუნთქავს გაწვართული ულელტეხილზე,
რომ სიხარულით გადაისხნას გულის კარები,
მფრინავ მოტორის იმედიან შემოძახილზე.
აქ ბავშვებია და გვესეირიან ყვავილს გენდებათ,
რომ ჩვენც სიჩუქრად გადუყაროთ თეთრი ფულები
თორემ ყვავილი ზოგჯერ ქვებად შემობრუნდება
თუ უსასყიდლოთ აიკიდე თავიგულები.
თხემი ჩამოგავს წოქცეული ძროხის ძეძუებს
იქ მკვდარი ქალი დაწოლილა თითქოს პირაღმა
სად გიეი თერგის აღშფოთება ცასაც აყრუებს
და ქალის თმები გადაშლილი ძელებზე მიახმა.
თითქოს ეს მთები დარიალის ეხლა გაესჭერით
უკან თამარის მოვიტოვეთ ციხე-კლიტული
და მეცინება რაღათ გვინდა ქვების ნაჭერი
ეხლა ამ მთაზე საკოდავად გადმოკიდული.
აქ წინ უეცრად გადაიხსნა უცხო ქვეყანა
დიდრონ მინდვრებმა გადაყლაპეს ჩემი თვალები,
აქაურ ცეცხლმა ყველა ფეხზე წამოგვაყენა,
წითელ დროშების მოტანით და აელვარებით.
ჰეი, მინდვრებო!—შემობრუნდით ჩემსკენ, გიკჭიროთ
მინდა თვალები მივაწვდინო მოსკოვს, ლენინგრადს,
რომ ეს ცხოვრება ჩვენს საზღვრებზე გადავაცილო,
რომ ყველგან შრომას სიხარული სწკავდეს ამრიგად.
უკვე კვკვავი. დაწოლილი თერგის კალთებზე
სადაც ნავები ბაღებიდან წყალში ეშვება,
თერგი გაშლილი ამ ქალაქის მიელ სიფართეზე
ეხლა ჩემ ფიქრებს ჩახვეული არ მოეშვება.

ი. ლიხაშვილი.

მატარებლიდან

თან მატარებელს მისდევს ქარები,
მეც მატარებლით მივექანები.
მატარებლიდან ჩნდება მაღლობი,
აგერ ზესთაფონს მიუახლოვდი.
მივდიეარ ჩქარა, შავი ღამეა,
ვერ ვასწრებ თვალის დახამხამებას.
ცა გაიხსნება არ ვიცი როდის,
მივალ, ღამეა, და თოვლი მოდის.
მატარებლიდან ჩნდება ველები,
ალბად შენ ისევ მომეშველები.
და ძვირფას დებთან ბიდივარ მარტო.
ამის წინ თოვდა და ეხლა არ თოვს:
გაფანტულია თოვლი მდელოში,
ნელა შევდივარ სამეგრელოში.
მოვდიეარ, მომდევს სხვა მოგონება,
ეს ლექსებია ჩემი ქონები.
სალ წავიდე როგორ ჯობია,
აგერ წყალი დგას და ჭაობია...
თან მატარებელს მისდევს ქარები,
მეც მატარებლით მივექანები...

ტერენტი გრანელი.

ჩვენ სათუთ გრძნობებს არ მოვერიდეთ

ჩვენ სათუთ გრძნობებს არ მოვერიდეთ,
გულს გაბტყდარს უკ ეი ვეღარ უმეველი,—
ამ დღეს თბილისში დათოვა კიდეც,
ქროდა ზღვაური შეუჩვეველი.
ჩვენ ვშორდებოდით ძვირფას ადამიანს
და თან მივაყოლდა ხომ სიძულვილი,
ვერ გაასწორებ მეგობრებს ყოფილს,
მოაელფერია მათი სულიერი.
რაც ვერ ვსთქვი მაშინ, მაწვალებს ახლაც.
თუმც ბევრმა წყალმა განელო მას აქვთ,—
შენ გაისწორე კისერი მაღლა
და ერთმანეთი ისევ აელაგმეთ.
არ დაგიმალავს, ჩქარობდი კიდეც,
მაგრამ სად? ვისთან? არ ვიცი დღესაც.—
შენ ლანდს იდუმალს გამოეკიდე
და გაქრი თოვლში ეარწყინვალესად.
ცა ივსებოდა რძით ნაპირამდე,
ტიროდენ ქარში მინის ბავშვები,
შენს მკერდს - დათოვილ ორ პირამიდას
დაეხეხებოდენ სადღაც შაშვები.
შემდეგ არ მახსოვს გული რას მთხოვდა,
მაგრამ არ იყავ ეხლა ძახლობლად,—
ღამე დილამდე შენს კვალს ათოვდა
და ხეხუნებდა ზღვაური ობლად.
დღეს აღარა ვართ არც მე და არც შენ—
დაგვრჩა გულები ჩვენ ცარიელი,
მოგონებების ცისფერ ხალიჩებს
შეერისძიებით კბენს მორიელი.

რაუდ გოგოხია.

ღამე უშგულის მთებში

მთებიდან—მთები ჩრდილებს ისერიან
მთებს დაეიწყვდათ მთებთან ჩურჩული...
ქალწულებიეთ სთვლემენ ნისლები
მთებიდან—მთებზე დგება სიჩუმე.
მოვიდა ღამე. ცა ფერმიხდილი
მთებში ჩავარდნილ ნისლიეთ წყდება;
მთებს იკ'ით ჩაწვა ჯიხვების ჩრდილი,
და ყელდაღადრულ კოშკების წყება.
ღამეა. მთებზე—მთა იხედება
მთებზე მოღლილი სიჩუმე ტგება...
უკან დაეცა ბილიკს მხედარის
ლოდიეთ მძიმე სუნთქვა და ძგერა.
მოარღვევს ღამეს, ბერნის ნახტომი
თხრილების თავებს ეცემა შავად—
უკან მერანმა ღამე დასტოვა
და წოქცეული ნისლების შარა.
ისევ დაეცა მთებს სიმარტოე,
ღამეში ისევ ნისლები კრთება;
მთებზე გაწოლილ ბერნის ნახტომი
თქვენ გამოიცანთ უშგულის მთებო.

ვიქტორ გაბესკირია.

ფითელჩოხა საქართველო

(გაზაფხულის ფანტაზია)

ფითელჩოხა საქართველოს ოცეცია კალთა,—
ორბის ფრთები გაეშალა, ცეკვად ყაყასიონზე;
იერიშით დაამსგრია ძველი მონური სალტა,—
და, გამარჯვებული აღის ალმურნის მასტიონზე.

მწვანე ბალერდის ახალებს ფლიმის ვარდის დეგმა,—
ეკეთეს შერმისის ალთაქმად ჭერენს სიცოცხლის სალამზე;
შუბლზე ჯიღა აუნათა ლამაზ სიხეის შეკმა,—
და, ყელს, მძივად, ატლას ლოყა ეხვეეა ცხრათვალა მზე.

ყაბალახად გადეგდია, მხრებს, მსოფლიო იდეა,—
გეშაგად სდგას ევროპის შუა გზაჯვარედინზე;
წინსვლად მარად მზას არ ეჩანს ალმაფრენის კიდეა,—
და, სიფარულით გაკიკის სისხლით ნაფერ მურდინზე.

ქუდი ქეროს მოუდია ფირუზი ცის ალმარად,—
შრომის მეუფეა მასრებს ეპუზმენტებს რიერაგზე;
წელზე მტკვარი შემოერტყავს ვერცხლის კოტა ქამარად,—
და, ჭერის აჯანყებულ სულით ეაღეორო გიე რაშზე.

ქარხნების ალმტაც გეგუნში გიშერი თმის ავარცხნით,—
ურჩ ლაშქარს ათვალიერებს, სიხარულით, ქეჩებზე;
ქალაქის ანირალდნებით პარადს ანწკრიევს მარცხნით,—
და, ეკონება, სიამით, მეშას რკინის ტეჩებზე.

ახალი ეპოქის მღერით აეფეურჩნა ოკნება,—
ჩაქუჩსა და ნამგალს ჰკეთავს ხეთქიმიან ვარსკვლავზე;
საბჭოთა სოფლის სიტურფით მხურვალედ იკოცნება,
და, საუკუნოებს ესწრებს, იგრეხს ძარღვიან მკლავზე.

დედამიწას, გლების დარტყმით, ბეღრავს მისი შენება,—
ველები ყირად სდგებიან ტრაქტორების გრიალზე;
სერებს მარაოდ ეშლება ტყის უკვდავი შვენება,—
და, ჯიშმაგარ მოდგმასა ზრდის ფითელ დროშის ფრიალზე.

სტუმართ მოყვარე, გულ-ღია, შვებით სდაფნის ბუნება,—
თვალებით ზაჭესს იელვებს, უტევს მტერთა საფარზე;
ბრძოლის ჯანგების ძახილი ტკბილად ესალბუნება,—
და, თავდადების მაყარი ცეცხლს ეფლება ფაფარზე.

მკერდით ნადენ სისხლის ზოლით შეჭქნა ლალისფერა
ქარტა,—
ინტერნაციონალურ ჭნარს ნაზად ეხება სიმზე;
სალხინოდ ეჩანს თამაში რეეოლიუციის ჭართან,—
და, ეველის დაელურს მომავლის საალერსო ციმციმზე.

სადა ნახავთ ამისთანა სანტარო კოშუნარს,—
ვინ დამწვარა ეფრო ეკეთ თაეისუფლების ალზე?
პოეზიის რესპუბლიკა ყველაფრით ინჭნს ენარს,—
და, ამაყი პოზით ადის ძლევის პიედესტალზე...

სეზმან ერთაწმინდელი.

ხდა. დაპატიმრება დაიწყო. ჩერნიაკი და კაშორი გაიქცნენ და აჯანყებულ პოლონელებს მიემხრნენ.

— ჩერნიაკი დამეკარგა. მე კიევში ჩავედი, იქიდან გავიპარე და...—და აბორძიკდა:—და ჩავეწერე რუ... რაუ... რუეიკის რაზმში. დობრე ჯანე იყო პან რუეიკი.—და წამოიძახა:—რეონდ ნაროდოვი!

— ეგ რაღა არის?

— მთავრობა, პოლონეთის მთავრობის სახელია—გუკერნემან პოლონე.

მერე დამარცხდნენ, ძალიან დამარცხდნენ. კაშორი ისევ კიევში შეიპარა.

— ჩერნიაკი? ჩერნიაკს რაღა დაემართა?

შუბლი მოისრისა, ხსოვნის ძაფი დაიჭიმა და ხელი ყელზე წაიკრა:

— ჩამოახრჩეს?

— სუსა, დიახ.

— პან რუეიკი?

აღარ ახსოვს. იცოდა, მაგრამ დავიწყდა.

— მერე კატორღაში ჩამსვეს.

— კიევში დაგაპატიმრეს?—ეკითხები.

არა, სხვაგან. აღარ ახსოვს კაშორს, როგორ გაიქცა კიევიდან, ან სად იმალებოდა, ან საით მიდიოდა. ერთი რამე მაინც გაიხსენა: დიდი მდინარე იყო, ქალაქი ... —ბოლოს ... —ბოლოს ... —ბოლოს